ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
მათემატიკის დეპარტამენტი

გიორგი გოგნაძე

# ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების ჩეზაროს განზოგადოებული საშუალოების ასიმპტოტური შეფასების შესახებ

(სამაგისტრო ნაშრომი)

ხელმძღვანელი: თსუ-ს ასოც. პროფ.
ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი
თეიმურაზ ახობაძე

2016 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

# ანოტაცია

ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების შეჯამებადობის საკითხი მეტად მნიშნელოვან როლს თამაშობს ფუნქციათა თეორიის მრავალი პრობლემების შესწავლაში; მათდამი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც აღმოჩდა, რომ ჯამებადი ფუნქციის ფურიეს მწკრივი შეიძლება ყველგან განშლადი იყოს, ხოლო ზოგიერთი უწყვეტი ფუნქციის მწკრივი ასევე განშლადი იყოს ნული ზომის სიმრავლეზე. გასული საუკუნის 40-ანი წლებიდან დაწყებული ინტესიური კვლევა მიმდენარეობს სხვადასხვა სივრცეებში ფურიეს მწკრივის კერძო ჯამების შესაბამისი ფუნქციიდან გადახრის ასიმპტოტური შეფასების შესახებ. მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში ნაპოვნია $H_{\omega}$ კლასის ფუნქციების ასიმპტოტური ტოლობები ჩეზაროს განზოგადოებული საშუალოებითვის.

# Abstract

The convergence of the trigonometric Fourier series plays an important role in examination of many problems in function theory. Many scientists paid attention on them after that Fourier series of integrated function can be diverge everywhere. Moreover, some series of continuous functions diverge on set of zero measure. Since 1940, intensive studies is conducted in several spaces to find the asymptotoc estimation of function and its trigonometric Fourier series. This paper finds asymptotic equalities of set of functions from $H_\omega$ class than generalized Cesáro means are considered.

## §1 შესავალი

ვთქვათ $f$ უწყვეტი და $2\pi$ - პერიოდული ფუნქციაა და

$$\frac{a_0}{2}+\sum_{k=1}^{\infty}\left(a_k\cos kx+b_k\sin kx\right)$$

მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივია, ხოლო

$$a_k=a_k\left(f\right)=\frac{1}{n}\int_{-\pi}^{\pi}f\left(t\right)\cos ktdt\,,$$

$$b_k=b_k\left(f\right)=\frac{1}{n}\int_{-\pi}^{\pi}f\left(t\right)\sin ktdt\,,$$

$f$ ფუნქციის ფურიეს კოეფიციენტებია. $S_n\left(f;x\right)$-ით აღვნიშნოთ $f$ ფუნქციის ფურიეს მწკრივის $n$ - ური კერძო ჯამი, ანუ

$$S_n\left(f;x\right)=\frac{a_0}{2}+\sum_{k=1}^{n}\left(a_k\cos kx+b_k\sin kx\right).$$

პირველი შედეგი ლებეგის აზრით ინტეგრებადი ფუნქციდან მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამების გადახრის შეფასების შესახებ მიღებული იქნა ლებეგის [1] მიერ 1909 წელს. მან დაამტკიცა, რომ

(1.1) $$\rho_n\left(f;x\right)\overset{def}{=}\left|f\left(x\right)-S_n\left(f;x\right)\right|\le\left(\ln n+3\right)E_n\left(f\right),$$

სადაც $E_n\left(f\right)$ არის $f$ ფუნქციის საუკეთესო მიახლოვება თანაბარი მეტრიკით $T_n$ ტრიგონომეტრიული პოლინომებით, რომელთა რიგი არ აღემატება $n$-ს :

$$E_n\left(f\right)=\inf_{T_n}\left\|f\left(\cdot\right)-T_n\left(\cdot\right)\right\|_{C_{2\pi}}=\inf_{T_n}\max_{x}\left|f\left(\cdot\right)-T_n\left(\cdot\right)\right|.$$

ამ მიმართულებით ასევე აღსანიშნავია ჯეკსონის [2, 3] დებულებები, რომლებიც ეხება $E_n\left(f\right)$-ით შეფასებებს. ლებეგის მოტანილი შედეგი დიდწილად შეიცავს მანამდე მიღებულ შესაბამის შედეგებს $\rho_n\left(f;x\right)$ სიდიდის შეფასების შესახებ და არ კარგავს თავის მნიშნელობას

დღესაც. ის არის რიგობრივად ზუსტი და მოხერხებულია გამოყენებებში. არსებობს ლებეგის შეფასების მრავალი განზოგადოება, მათ შორის ადგილი აქვს შემდეგ დებულებას: თუ $f$ ფუნქციას აქვს შემოსაზღვრული, დაუშვათ 1-ით, $r$ რიგის წარმოებული მაშინ

$$E_n(f) < \frac{\pi}{2n^r},$$

ამასთან (1.1)-დან მივიღებთ

$$\rho_n(f;x) < \frac{\pi(\ln n + 3)}{2n^r}.$$

1935 წელს კოლმოგოროვმა [4] განიხილა სიდიდე

$$\varepsilon\left(W^r; S_n\right) = \sup_{f \in W^r} \left\| f(\cdot) - S_n(f;\cdot) \right\|_{C_{2\pi}},$$

სადაც $W^r$ არის $2\pi$ -პერიოდული ისეთი $f$ ფუნქციათა კლასი, რომელბსაც გააჩნია $r$ რიგის წარმოებული $f^r(x), r \in \mathrm{N}$, და თ.ყ. $\left| f^r(x) \right| \le 1$. მან $\varepsilon\left(W^r; S_n\right)$-სთვის იპოვა ზუსტი ასიპტოტური შეფასება :

$$\varepsilon\left(W^r; S_n\right) = \frac{4}{\pi^2} \frac{\ln n}{n^r} + O\left(\frac{1}{n^r}\right),\ n \to \infty.$$

ამ მიმართულებით შემდეგი არსებითი ნაბიჯი, ეკუთვნის ნიკოლსკის [5-11], რომელმაც განაზოგადა ეს შედეგები $W^r H^\alpha$ კლასებზე ($W^r H^\alpha$ კლასი შეიცავს $2\pi$ - პერიოდულ $f$ ფუნქციებს, რომლებსაც აქვს $r$ რიგის უწყვეტი წარმოებულები, ამასთანავე, $\left| f^{(r)}(x) - f^{(r)}(x') \right| \le |x - x'|,\ 0 < \alpha \le 1.$ )

კერძოდ, მან დაადგინა, რომ ნებისმიერი $r \ge 0$ და $0 < \alpha \le 1$ რიცხვებისათვის, მართებულია წარმოდგენა

$$\varepsilon\left(W^r H^\alpha, S_n\right) = \frac{2^{1+\alpha} \ln n}{\pi^2 n^{r+\alpha}} \int_0^{\frac{\pi}{2}} t^\alpha \sin t dt + O\left(\frac{1}{n^{r+\alpha}}\right).$$

ამის გარდა, ნიკოლსკიმ მიიღო ანალოგიური შეფასება, $\sigma_n(f;x)$ ჯამებისთვის.

მოგვიანებით კორნეიჩუკმა [12] დაამტკიცა დებულება, რომელსაც უწოდებენ კორნეიჩუკი-სტეჩკინის ლემას. მან მიიღო შემდეგი სიდიდის შეფასება:

(1.2) $$\delta\left(H_\omega[a,b];\psi\right)=\sup_{f\in H_\omega[a,b]}\left|\int_a^b f(t)\psi(t)\,dt\right|,$$

სადაც $H_\omega[a,b]$ ისეთი $f$ ფუნქციათა კლასია, რომელებიც $[a,b]$-ზე აკმაყოფილებენ პირობას

$$|f(x)-f(x')|\le\omega(|x-x'|);$$

$\omega(t)$ ფიქსირებული უწყვეტობის მოდულია, ხოლო $\psi(t)$ ჯამებადი ფუნქციაა, რომლის $[a,b]$-ზე აღებული საშუალო მნიშნელობა 0-ის ტოლია. ამასთან, ის თ.ყ. ინარჩუნებს ნიშანს, მაგალითად, $(a,c)$-ზე და $(c,b)$-ზე, $a<c<b$. (1.2) გამოსახულების შეფასება, როცა $\omega(t)$ ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, არის ზუსტი, თანაც მოიცემა ცხადი სახით.

კორნეიჩუკი-სტეჩკინის ლემაზე დაყრდნობით სტეპანეცმა მიიღო მთელი რიგი დებულებები. მოვიტანოთ ზოგიერთი მათგანი.

***თეორემა* 1.1.** (*ნიკოლსკი* [8], *სტეპანეცი* [13, *თავი* II, §5]) *ნებისმიერი უწყვეტობის მოდულისთვის მართებულია შეფასება*:

(1.3) $$\varepsilon(H_\omega;S_n)\le\frac{2}{\pi^2}\ln n\int_0^{\frac{\pi}{2}}\omega\left(\frac{4t}{2n+1}\right)\sin t\,dt+O\left(\omega\left(\frac{1}{n}\right)\right),\ n\to\infty.$$

*თუ* $\omega(t)$ *ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, მაშინ* (1.3)-*ში მიიღწევა ტოლობა.*

***თეორემა* 1.2.** (*სტეპანეცი* [13, *თავი* II, §5]) *ნებისმიერი* $\omega=\omega(t)$ *უწყვეტობის მოდულისათვის მართებულია ასიპტოტური ტოლობა*:

$$\varepsilon\left(H_\omega,S_n\right)=\frac{2s_n}{\pi^2}\ln n+O\left(\omega\left(\frac{1}{n}\right)\right),\ n\to\infty,$$

*სადაც*

$$s_n = \sup_{f \in H_\omega\left[-\frac{\pi}{2n+1}, \frac{\pi}{2n+1}\right]} \left| \int_{-\frac{\pi}{2}}^{\frac{\pi}{2}} f\left(\frac{2t}{2n+1}\right) \sin t dt \right|.$$

*თეორემა* 1.3. (*სტეპანეცი* [13, *თავი* II, §5) *ნებისმიერი* $\omega = \omega(t)$ *უწყვეტობის მოდულისთვის სამართლიანია ასიპტოტური ტოლობა:*

$$\varepsilon(H_\omega, S_n) = \Theta_\omega \frac{2}{\pi^2} \ln n \int_0^{\frac{\pi}{2}} \omega\left(\frac{4t}{2n+1}\right) \sin t dt + O\left(\omega\left(\frac{1}{n}\right)\right),$$

$$\frac{2}{3} \le \Theta_\omega \le 1,$$

*ამასთანავე,* $\Theta_\omega = 1$, *თუ* $\omega(t)$ *ამოზნექილი ფუნქციაა.*

## §2 დამხმარე დებულებები და აღნიშნები

***განსაზღვრება* 2.1.** ვთქვათ მოცემულია $f$ ფუნქცია, რომელიც უწყვეტია $[a,b]$-ზე, მაშინ ამ ფუნქციის უწყვეტობის მოდული აღინიშნება ასე $\omega(t)=\omega(f;t)$. ის განსაზღვრულია $[0,b-a]$-ზე, და განისაზღვრება ტოლობებით:

$$\omega(t)=\omega(f;t)=\sup_{0\le h\le t}\max_{a\le x\le b-h}\left|f(x+h)-f(x)\right|=\sup_{\substack{|x'-x''|\le t,\\ x',x''\in[a,b]}}\left|f(x')-f(x'')\right|.$$

***განსაზღვრება* 2.2.** ვთქვათ, $\omega=\omega(t)$ ფიქსირებული უწყვეტობის მოდულია. ვიტყვით, რომ $f$ ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია $[a,b]$-ზე, ეკუთვნის $H_\omega[a,b]$ კლასს, თუ ნებისმიერი $t_1,t_2\in[a,b]$ რიცხვებისათვის სამართლიანია უტოლობა

$$\left|f(t_1)-f(t_2)\right|\le\omega(|t_1-t_2|).$$

ვთქვათ, ნებისმიერ $[a,b]$ მონაკვეთზე მოცემულია წერტილი $c$, $a<c<b$, და ჯამებადი $\psi$ ფუნქცია, რომლისთვისაც თითქმის ყველგან $(a,c)$-ზე $\psi(x)>0$ ($\psi(x)<0$), ხოლო თითქმის ყველგან $(c,b)$-ზე $\psi(x)<0$ ($\psi(x)>0$) და $\int_a^b\psi(x)\,dx=0$. ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ $\psi$ ფუნქცია ეკუთვნის $V_{a,b}^c$ კლასს და დავწერთ $\psi\in V_{a,b}^c$.

დაუშვათ, რომ

$$\delta_\omega(\psi)=\delta_\omega(\psi;H_\omega[a,b])=\sup_{f\in H_\omega[a,b]}\left|\int_a^b f(x)\psi(x)\,dx\right|,$$

სადაც $\psi\in V_{a,b}^c$.

***თეორემა* 1.1.** (*კორნეიჩუკი* [12]) *ვთქვათ,* $\omega=\omega(t)$ *ნებისმიერი უწყვეტობის მოდულია, მაშინ*

**(2.1)** $$\delta_\omega(\psi)\le\int_a^c|\psi(t)|\,\omega(\rho(t)-t)\,dt=\int_c^b|\psi(t)|\,\omega(t-\rho^{-1}(t))\,dt,$$

*სადაც* $\rho$ *ფუნქციაა, რომელიც განსაზღვრულია* $[a,c]$*-ზე შემდეგი ტოლობით:*

$$\Psi(x)=\Psi(\rho(x)),\ a\le x\le c\le \rho(x)\le b,\ \Psi(x)=\int_a^x \psi(t)\,dt,$$

*სადაც* $\rho^{-1}$ *არის* $\rho$ *ფუნქციის შექცეული ფუნქცია. თუ* $\omega$ *ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, მაშინ* **(2.1)**-*ის მარჯვენა მხარეში მიიღწევა ტოლობა, ამასთანავე, ამ შემთხვევაში ზუსტ ზედა საზღვარს აღწევს ისეთი ფუნქციისათვის* $H_\omega[a,b]$ *კლასიდან, რომელსაც აქვს სახე* $K\pm f_0(x)$, *სადაც* $K$ *მუდმივია, ხოლო*

**(2.2)**
$$f_0(x)=\begin{cases} -\int_x^c \omega'(\rho(t)-t)\,dt, & \text{თუ } x\in[a,c],\\ \int_c^x \omega'(t-\rho^{-1}(t))\,dt, & \text{თუ } x\in[c,b].\end{cases}$$

*ამ შემთხვევაში* $\delta_\omega(\psi)$ *სიდიდე შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით*

$$\delta_\omega(\psi)=\int_0^{b-a}\bar{\psi}(t)\omega'(t)\,dt,$$

*სადაც* $\bar{\psi}(t)$ *არის* $|\psi(t)|$ *ფუნქციის კლებადი გადანაცვლება (იხ. მაგალითად А.И. „Степанец равномерные приближения тригонометрическими полиномами“ გვ.* 18).

***შედეგი*** **2.1.** *ვთქვათ,* $\omega=\omega(t)$ *ნებისმიერი უწყვეტობის მოდულია,* $\psi(t)\in V_{a,b}^c$, $c=\dfrac{a+b}{2}$ *და* $\psi(t)=-\psi(2c-t)$, *მაშინ*

**(2.3)**
$$\delta_\omega(\psi)\le\int_a^c|\psi(t)|\,\omega(2(c-t))\,dt=\int_c^b|\psi(t)|\,\omega(2(t-c))\,dt.$$

*თუ* $\omega$ *ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, მაშინ* **(2.3)**-*ის მარჯვენა მხარეში მიიღწევა ტოლობა, და, ამასთანავე, ზუსტ ზედა საზღვარს აღწევს ისეთი ფუნქციისათვის* $H_\omega[a,b]$ *კლასიდან, რომელსაც აქვს სახე* $K\pm f_*(x)$, *სადაც* $K$ *მუდმივია, ხოლო*

$$f_*(x)=\begin{cases} -\frac{1}{2}\omega(2(c-x)), & \text{თუ } x\in[a,c],\\ \frac{1}{2}\omega(2(x-c)), & \text{თუ } x\in[c,b].\end{cases}$$

*ამ შემთხვევაში* $\delta_\omega(\psi)$ *სიდიდე შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით*

$$\delta_\omega(\psi) = \int_0^{b-a} \bar{\psi}(t)\,\omega'(t)\,dt .$$

მნიშნელოვანია ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება ჩეზაროს შეჯამებადობის მეთოდისთვის. მომავალში დაგვჭირდება

***განსაზღვრება* 2.3.** ვთქვათ, მოცემულია $s_0, s_1, \ldots$ მიმდევრობა. ვიტყვით, რომ $s_0, s_1, \ldots$ მიმდევრობა (ან მწკრივი $u_0 + u_1 + u_2 + \ldots$, რომლის კერძო ჯამები არის $s_0, s_1, \ldots$) $(C, \alpha_n)$ შეჯამებადია $s$ -სკენ, თუ

$$\sigma_n^{\alpha_n} \to s \text{, როცა } n \to \infty,$$

სადაც $\sigma_n^{\alpha_n}(x) = \dfrac{1}{A_n^{\alpha_n}} \sum_{k=0}^{n} A_{n-k}^{\alpha_n} S_k(x)$, $\alpha_n$ ნებიმიერი მიმდევრობაა, რომლისთვისაც $-1 < \alpha_n < 1$, და $S_k(x)$ არის ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის $k$ -ური კერძო ჯამი, ამასთან $A_n^{\alpha_n} = \dfrac{(\alpha_n + 1) + \ldots + (\alpha_n + n)}{n!}$.

იმ შემთხვევაში, როცა $\alpha_n$ მუდმივი მიმდევრობაა: $\alpha_n = \alpha$ ყოველი $n \in \mathbf{N}$, მაშინ $\sigma_n^{\alpha_n} = \sigma_n^{\alpha}$ არის ჩვეულებრივი ჩეზაროს საშუალოები. სამართლიანია

***თეორემა* 2.3.** [14] *ნებისმიერი $\omega$ უწყვეტობის მოდულისთვის და ყოველი $\alpha$ -სთვის $(-1 < \alpha < 1)$ მართებულია შეფასება:*

$$\textbf{(2.4)} \quad \varepsilon\left(H^\omega; \sigma_n^\alpha\right) \overset{def}{=} \sup_{f \in H_\omega} \left\| f(x) - \sigma_n^\alpha(f; x) \right\|_{C_{2\pi}} \le \frac{4\Gamma(\alpha+1)}{\pi(2n+1+\alpha)n} \sum_{k=0}^{n-1} \left( 2\sin\frac{k+1+\alpha/2}{2n+1+\alpha}\pi \right)^{-1-\alpha} \times$$

$$\times \int_0^{\frac{\pi}{2}} \omega\left(\frac{4t}{2n+1+\alpha}\right) \sin t\,dt + o\left( \frac{1}{n} \int_{\frac{1}{n}}^{\pi} \frac{\omega(t)}{t^2}\,dt \right).$$

*თუ $\omega(t)$ ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, მაშინ* **(2.4)***-ში მიიღწევა ტოლობა.*

ამ თეორემიდან გამომდინარეობს

***შედეგი* 2.2.** [14] *ნებისმიერი $\alpha(-1 < \alpha < 0)$ და $\gamma(0 < \lambda \le 1)$ მართებილია ასიმპტოტური ტოლობა:*

$$\varepsilon\left(MH_{\gamma};\sigma_n^{\alpha}\right)\le\frac{4^{1+\gamma}M\Gamma(\alpha+1)}{\pi(2n+1+\alpha)^{1+\gamma}n^{\alpha}}\sum_{k=0}^{n-1}\left(2\sin\frac{k+1+\frac{\alpha}{2}}{2n+1+\alpha}\pi\right)^{-1-\alpha}\times$$

$$\times\int_0^{\frac{\pi}{2}}t^{\gamma}\sin t dt+o\left(\varphi(n)\right).$$

*სადაც* $\varphi(n)=1/n^{\gamma}$ *ან* $\varphi(n)=\ln n/n$ *იმის მიხედვით, თუ* $0<\gamma<1$ *ან* $\gamma=1$.

კერძოდ ამ შედეგიდან, როცა $\gamma=1$, მივიღებთ:

$$\varepsilon\left(MH_1;\sigma_n^{\alpha}\right)=\frac{16M\Gamma(\alpha+1)}{\pi(2n+1+\alpha)^2 n^{\alpha}}\sum_{k=0}^{n-1}\left(2\sin\frac{k+1+\frac{\alpha}{2}}{2n+1+\alpha}\pi\right)^{-1-\alpha}+o\left(\frac{\ln n}{n}\right).$$

მომავალში დაგვჭირდება შემდეგი ორი დებულება.

***ლემა* 2.1.** *თუ* $\alpha_n\in(-1,1)$, *მაშინ*

$$A_n^{\alpha_n}=\frac{n^{\alpha_n}}{\Gamma(\alpha_n+1)}\left\{1+O\left(\frac{1}{n}\right)\right\},$$

*სადაც* $\Gamma(x)$ *არის ეილერის ფუნქცია.*

**დამტკიცება**: თუ გამოვიყენებთ [15 თავი XIV, პუნქტი 533], მაშინ ყოველი დადებითი $a$ - სათვის და ნატურალური $k$ -სათვის გვექნება:

$$\Gamma(a)\le k^{a}\frac{(k-1)!}{a(a+1)\cdot\ldots\cdot(a+k-1)}\le\Gamma(a)\frac{a+k}{k}.$$

თუ გავითვალისწინებთ $A_k^{\alpha_n}$ განსაზღვრებას, მაშინ ნებისმიერი $\alpha_n$ მიმდევრებობისთვის მივიღებთ:

$$\frac{k^{1-\alpha_n}}{\Gamma(1+\alpha_n)(1+\alpha_n+k)}\le A_k^{\alpha_n}\le\frac{k^{\alpha_n}}{\Gamma(1+\alpha_n)},$$

ამრიგად,

$$A_k^{\alpha_n} = \frac{k^{\alpha_n}}{\Gamma(1+\alpha_n)}\left(1+O\left(\frac{1}{k}\right)\right).$$

*ლემა* **2.2.** [16] *ნებისმიერი ნატურალური* $n$ *-სათვის სამართლიანია შეფასება:*

$$\left|K_n^{\alpha_n}(x)\right| \le \frac{n}{1+\alpha_n} + \frac{1}{2}.$$

*სადაც* $K_n^{\alpha_n}(x) = \frac{1}{2} + \sum_{\nu=1}^{n} \frac{A_{n-\nu}^{\alpha_n}}{A_n^{\alpha_n}} \cos \nu x$ .

## §3 ძირითადი შედეგების ფორმულირება

ვთქვათ, $H$ ყველა იმ უწყვეტ ფუნქციათა სიმრავლეა $H_\omega$ კლასიდან, რომლისთვისაც $f(0)=0$. $\sigma_n^{\alpha_n}(x, f)$-ით აღნიშნულია $f(x)$ ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის ჩეზაროს განზოგადოებული საშუალო.

ნაშრომში მიღებულია $\sigma_n^{\alpha_n}(x, f)$-ის ასიმპტოტური შეფასება.

***თეორემა 3.1.*** *ნებისმიერი უწყვეტობის მოდულისთვის* $\omega=\omega(t)$, *და* $\alpha_n \in (-1,1)$ *მიმდევრობისთვის მართებულია უტოლობა:*

$$\varepsilon_n\left(H_\omega;\sigma_n^{\alpha_n}\right)=\sup_{f\in H_\omega}\left\| f(x)-\sigma_n^{\alpha_n}(f;x)\right\|_{C_{2\pi}} \le$$

$$\le \frac{4}{(2n+1+\alpha_n)\pi A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n-1}\left(2\sin\frac{k+1/2+\alpha_n/2}{2n+1+\alpha_n}\right)^{-1-\alpha_n}\int_0^{\frac{\pi}{2}}\omega\left(\frac{4t}{2n+1+\alpha_n}\right)\sin t dt+$$

$$+O\left(\Gamma(1+\alpha_n)\omega\left(\frac{1}{n}\right)+\frac{|\alpha_n|}{n}\int_0^{\pi}\frac{\omega(t)}{t^2}dt\right),\ n\to\infty.$$

*თუ* $\omega(t)$ *ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, მაშინ ზემოთ დაწერილ გამოსახულებაში მიიღწევა ტოლობა.*

***თეორემა 3.2.*** *ნებისმიერი* $\omega=\omega(t)$ *უწყვეტობის მოდულისთვის და* $\alpha_n \in (-1,1)$ *მიმდევრობისთვის მართებულია ასიმპტოტური ტოლობა:*

$$\varepsilon_n\left(H_\omega;\sigma_n^{\alpha_n}\right)=\frac{4R_n(\omega)}{\pi(2n+1+\alpha_n)A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n-1}\left(2\sin\frac{k+1/2+\alpha_n/2}{2n+1+\alpha_n}\pi\right)^{-1-\alpha_n}+$$

$$+O\left(\Gamma(1+\alpha_n)\omega\left(\frac{1}{n}\right)+\left(\frac{|\alpha_n|}{n}\int_{\frac{1}{n}}^{\pi}\frac{\omega(t)}{t^2}dt\right)\right),\ n\to\infty,$$

*სადაც*

$$R_n(\omega)=\sup_{f\in H_\omega\left[\frac{-\pi}{2n+1+\alpha_n},\frac{\pi}{2n+1+\alpha_n}\right]}\left|\int_{-\frac{\pi}{2}}^{\frac{\pi}{2}} f\left(\frac{2t}{2n+1+\alpha_n}\right)\sin t dt\right|.$$

შევნიშნოთ, რომ უკანასკნელ დებულებაში არ მოითხოვება უწყვეტობის მოდულის ამოზნექილობა.

***თეორემა 3.3.*** თუ $\omega=\omega(t)$ *უწყვეტობის მოდულია და* $\alpha_n\in(-1,1)$, *მაშინ სამართლიანია ასიმპტოტური ტოლობა:*

$$\varepsilon_n\left(H_\omega;\sigma_n^{\alpha_n}\right)=\Theta_\omega\frac{4}{\pi(2n+1+\alpha_n)A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n-1}\left(2\sin\frac{k+1/2+\alpha_n/2}{2n+1+\alpha_n}\pi\right)^{-1-\alpha_n}\int_0^{\frac{\pi}{2}}\omega\left(\frac{4t}{2n+1+\alpha_n}\right)\sin t dt+$$

$$+O\left(\Gamma(1+\alpha_n)\omega\left(\frac{1}{n}\right)+\left(\frac{|\alpha_n|}{n}\int_{\frac{1}{n}}^{\pi}\frac{\omega(t)}{t^2}dt\right)\right),\ n\to\infty,$$

*სადაც*

$$\frac{2}{3}\le\Theta_\omega\le 1,$$

*ამასთან,* $\omega(t)$ *ამოზნექილი უწყვეტობის მოდულის შემთხვევაში* $\Theta_\omega=1$.

## §4 შედეგების დამტკიცება

*თეორემა* **3.1**-*ის დამტკიცება* : $\sigma_n^{\alpha_n}(x,f)$ განსაზღვრებიდან (იხ. განსაზღვრება **2.3)** მივიღებთ, რომ

$$\sigma_n^{\alpha_n}(x,f)=\frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(x+t)K_n^{\alpha_n}(t)dt=\frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f_1(t)K_n^{\alpha_n}(t)dt=\sigma_n^{\alpha_n}(0,f_1),$$

სადაც

$$K_n^{\alpha_n}(t)=\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\frac{\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{1}{2}\alpha_n\right)-\frac{1}{2}\pi\alpha_n\right]}{\left(2\sin\frac{1}{2}t\right)^{\alpha_n+1}}+\frac{2\theta_n\alpha_n}{n\left(2\sin\frac{1}{2}t\right)^2},\ |\theta_n|\le 1 \text{ და } -1<\alpha_n<1$$

(იხ. ზიგმუნდი [17] III თავი (5.14)). ამის გარდა, თუ $f_1(t)=f(t+x)$, მაშინ

$$\rho_n^{\alpha_n}(f,x)=f(x)-\sigma_n^{\alpha_n}(x,f)=f_1(0)-\sigma_n^{\alpha_n}(0,f_1)=f_1(0)-\sigma_n^{\alpha_n}(0,f_1)=\rho_n^{\alpha_n}(f_1,0).$$

ამიტომ

$$\varepsilon_n\left(H^{\omega};\sigma_n^{\alpha_n}\right)=\sup_{f\in H^{\omega}}\left|\sigma_n^{\alpha_n}(0,f)-f(0)\right|.$$

მაშასადამე,

$$\sigma_n^{\alpha_n}(0,f)-f(0)=\sigma_n^{\alpha_n}(0,\varphi),$$

სადაც

$$\varphi(t)=f(t)-f(0);$$

ე.ი. $\varepsilon_n\left(H^{\omega};\sigma_n^{\alpha_n}\right)=\sup\limits_{f\in H^{\omega},\,f(0)=0}\left|\sigma_n^{\alpha_n}(0,f)\right|.$

$K_n^{\alpha_n}(t)$ ფუნქცია ლუწია. ამასთან, $f(x)=f_1(x)+f_2(x)$, სადაც $f_1(x)=\frac{f(x)+f(-x)}{2}$, $f_2(x)=\frac{f(x)-f(-x)}{2}$ და

$$\varepsilon_n\left(H^{\omega};\sigma_n^{\alpha_n}\right)=\sup_{f\in H^{\omega},\,f(0)=0}\left|\frac{2}{\pi}\int_0^{\pi} f_1(t)K_n^{\alpha_n}(t)dt\right|,$$

სადაც $f_1(0)=0$, $f_1$ ლუწია და განსაზღვრებით ეკუთვნის ფუნქციათა $H_{iv}$ კლასს. ახლა ძნელი მისახვედრი არ არის, რომ

$$\varepsilon_n\left(H^{\omega};\sigma_n^{\alpha_n}\right)=\sup_{f\in H}\left|\frac{2}{\pi}\int_0^{\pi} f(t)K_n^{\alpha_n}(t)dt\right|.$$

მაგრამ

$$\varepsilon_n\left(H^{\omega};\sigma_n^{\alpha_n}\right)=\sup_{f\in H}\left|\frac{2}{\pi}\int_{\gamma_n}^{\pi} f(t)K_n^{\alpha_n}(t)dt+\frac{2}{\pi}\int_0^{\gamma_n} f(t)K_n^{\alpha_n}(t)dt\right|=$$

$$=\sup_{f\in H}\left|\frac{2}{\pi}\int_{\gamma_n}^{\pi} f(t)K_n^{\alpha_n}(t)dt+O\left(\omega(\gamma_n)\frac{2n}{1+\alpha_n}\int_0^{\gamma_n}dt\right)\right|=$$

$$=\sup_{f\in H}\left|\frac{2}{\pi}\int_{\gamma_n}^{\pi} f(t)K_n^{\alpha_n}(t)dt\right|+O\left(\frac{\omega\left(\frac{1}{n}\right)}{1+\alpha_n}\right),$$

სადაც

$$\gamma_n=\frac{(1+\alpha_n)\pi}{2n+1+\alpha_n}$$

მაშასადამე,

$$\varepsilon_n\left(H^{\omega};\sigma_n^{\alpha_n}\right)=\sup_{f\in H}\left|\frac{2}{\pi A_n^{\alpha_n}}\int_{\gamma_n}^{\pi} f(t)\frac{\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\frac{\alpha_n}{2}\pi\right]}{\left(2\sin\frac{t}{2}\right)^{1+\alpha_n}}dt+\int_{\gamma_n}^{\pi}\frac{f(t)\theta_n(t)}{\left(2\sin\frac{t}{2}\right)^{2}}dt\right|=$$

$$=\sup_{f\in H}\left|\frac{2}{\pi A_n^{\alpha_n}}\int_{\gamma_n}^{\pi} f(t)\frac{\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\frac{\alpha_n}{2}\pi\right]}{\left(2\sin\frac{t}{2}\right)^{1+\alpha_n}}dt+O\left(\frac{|\alpha_n|}{n}\int_{\frac{1}{n}}^{\pi}\frac{\omega(t)}{t^2}dt\right)\right|.$$

ვიგულისხმოთ, რომ $x_k$ არის $\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\frac{\alpha_n}{2}\pi\right]$ ფუნქციის ნულები, ხოლო $t_k$ - $\cos\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\frac{\alpha_n}{2}\pi\right]$ ფუნქციის ნულები. ამრიგად, გვაქვს

$$x_k=\frac{(2k+\alpha_n)\pi}{2n+1+\alpha_n}\ ,\qquad (k=\overline{1,n})$$

და

$$t_k=\frac{(2k+\alpha_n+1)\pi}{2n+1+\alpha_n}\qquad (k=\overline{0,n}).$$

შევნიშნოთ, რომ $\gamma_n=t_0$.

ვთქვათ, $M_n(t)=\left(2\sin\frac{x_{k+1}}{2}\right)^{1+\alpha_n}$, როცა $t\in[t_k,t_{k+1})$, $k=\overline{0,n-1}$.

დავუშვათ

$$Q_n^{\alpha_n}(t)=\begin{cases}\dfrac{\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\frac{\alpha_n}{2}\pi\right]}{A_n^{\alpha_n}M_n(t)}, \text{ თუ } [t_0,\pi],\\ 0, \text{ თუ } [0,t_0).\end{cases}$$

ვიგულისხმოთ, რომ $[t_0,\pi]$შუალედზე

$$\eta_n^{\alpha_n}(t)\equiv\varphi_n^{\alpha_n}(t)-Q_n^{\alpha_n}(t)=\frac{M_n(t)-\left(2\sin\frac{t}{2}\right)^{1+\alpha_n}}{A_n^{\alpha_n}\left(2\sin\frac{t}{2}\right)^{1+\alpha_n}M_n(t)}\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\frac{\alpha_n\pi}{2}\right],$$

სადაც

$$\varphi_n^{\alpha_n}(t)=\frac{\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\frac{\alpha_n}{2}\pi\right]}{A_n^{\alpha_n}\left(2\sin\frac{t}{2}\right)^{1+\alpha_n}}.$$

$\eta_n^{\alpha_n}(t)$ ფუნქცია $[t_k,t_{k+1}]$ შუალედზე დადებითია, როცა $k$ ლუწია და უარყოფითია, როცა $k$ კენტია.

განვიხილოთ რიცხვები

$$\delta_k^{\alpha_n}=\left|\int_{t_k}^{t_{k+1}}\eta_n^{\alpha_n}(t)dt\right|.$$

ძნელი შესამოწმებელი არ არის, რომ $k$-ს გაზრდასთან ერთად $\delta_k^{\alpha_n}$-ები იკლებენ. აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ ფუნქციას

$$\eta_*^{\alpha_n}(\tau)=\int_{\tau}^{\pi}\eta_n^{\alpha_n}(t)dt,$$

ყოველ $(t_k,t_{k+1})$, $k=\overline{0,n-1}$, ინტერვალზე აქვს ერთადერთი ნული (ვთქვათ, $\tau_k$), ამასთან,

$$t_0<\tau_0<t_1<...<\tau_{n-1}<\pi.$$

ამრიგად, მივიღებთ

$$I_n^{\alpha_n}(f)\equiv\frac{2}{\pi}\int_0^{\pi}f(t)Q_n^{\alpha_n}(t)dt+\frac{2}{\pi}\int_{t_0}^{\pi}f(t)\eta_n^{\alpha_n}(t)dt=$$

$$=\frac{2}{\pi}\int_{t_0}^{\pi}f(t)Q_n^{\alpha_n}(t)dt+\frac{2}{\pi}\int_{t_0}^{\tau_0}f(t)\eta_n^{\alpha_n}(t)dt+\frac{2}{\pi}\int_{\tau_0}^{\pi}f(t)\eta_n^{\alpha_n}(t)dt=$$

$$=I_1+I_2+I_3.$$

განვიხილოთ $I_2$. ცხადია, $[t_0,\tau_0]$-ის სიგრძე არ აღემატება $[t_0,t_1]$ ინტერვალის სიგრძეს. ამასთან, ეს უკანასკნელი ტოლია

$$\left(\frac{3+\alpha_n}{2n+1+\alpha_n}-\frac{1+\alpha_n}{2n+1+\alpha_n}\right)\pi=\frac{2\pi}{2n+1+\alpha_n}<\frac{\pi}{n}.$$

ამ ინტერვალზე $\eta_n^{\alpha_n}$ აღწევს თავის უდიდეს მნიშნელობას $t_0$ წერტილზე. ამიტომ

$$|I_2| = \left| \frac{2}{\pi} \int_{t_0}^{\tau_0} f(t) \eta_n^{\alpha_n}(t) dt \right| \le \frac{2}{\pi} \omega(\tau_0) \eta_n^{\alpha_n}(t_0) \frac{\pi}{n} <$$

$$< \frac{2}{\pi} \omega(t_1) \eta_n^{\alpha_n} \left( \frac{(\alpha_n + 1)\pi}{2n + 1 + \alpha_n} \right) < \frac{2}{\pi} \omega \left( \frac{(\alpha_n + 3)\pi}{2n + 1 + \alpha_n} \right) \eta_n^{\alpha_n} \left( \frac{(\alpha_n + 1)\pi}{2n + 1 + \alpha_n} \right),$$

მაგრამ

$$\eta_n^{\alpha_n} \left( \frac{(\alpha_n + 1)\pi}{2n + 1 + \alpha_n} \right) \le \left| \varphi \left( \frac{(\alpha_n + 1)\pi}{2n + 1 + \alpha_n} \right) \right| + \left| Q_n^{\alpha_n} \left( \frac{(\alpha_n + 1)\pi}{2n + 1 + \alpha_n} \right) \right| \le$$

$$\le \frac{1}{A_n^{\alpha_n}} \left[ \frac{1}{\left( 2 \sin \frac{(\alpha_n + 1)\pi}{2(2n + 1 + \alpha_n)} \right)^{1 + \alpha_n}} + \frac{1}{\left( 2 \sin \frac{(\alpha_n + 2)\pi}{2(2n + 1 + \alpha_n)} \right)^{1 + \alpha_n}} \right] \le$$

$$\le \frac{2}{A_n^{\alpha_n}} \left( 2 \sin \frac{(\alpha_n + 1)\pi}{2(2n + 1 + \alpha_n)} \right)^{-1 - \alpha_n} \le \frac{C\Gamma(1 + \alpha_n)}{n^{\alpha_n}} \frac{n^{1 + \alpha_n}}{(1 + \alpha_n)} \le C\Gamma(1 + \alpha_n).$$

აქ და ქვემოთ $C$ -თი აღნიშნავთ აბსოლუტურ კონსტანტებს.

მაშასადამე,

$$|I_2| \le C\Gamma(1 + \alpha_n) \omega\left( \frac{1}{n} \right),$$

$$h = \max_i (\tau_{i+1} - \tau_i) < \max_i (t_{i+1} - t_{i-1}) = \max_i \left[ \frac{2i + 3 + \alpha_n}{2n + 1 + \alpha_n} - \frac{2i - 1 + \alpha_n}{2n + 1 + \alpha_n} \right] \pi =$$

$$= \max \frac{4}{2n + 1 + \alpha_n} \pi \le \frac{2\pi}{n}.$$

ამიტომ კორნეიჩუკის თეორემა **1.1**-ის ძალით გვაქვს

$$|I_3| = \left| \frac{2}{\pi} \int_{\tau_0}^{\pi} f(t) \eta_n^{\alpha_n}(t) dt \right| \le \frac{2}{\pi} \omega\left( \frac{2\pi}{n} \right) \int_{\tau_0}^{\pi} \left| \eta_n^{\alpha_n}(t) \right| dt.$$

უკანასკნელი შეიძლება შემდეგნაირად შევაფასოთ:

$$\int_{\tau_0}^{\pi}\left|\eta_n^{\alpha_n}(t)\right|dt=\int_{\tau_0}^{t_1}\left|\eta_n^{\alpha_n}(t)\right|dt+\sum_{k=1}^{n-1}\int_{t_k}^{t_{k+1}}\left|\eta_n^{\alpha_n}(t)\right|dt\,.$$

$\eta_n^{\alpha_n}(t)$-ის განსაზღვრების ძალით:

$$\int_{t_k}^{t_{k+1}}\left|\eta_n^{\alpha_n}(t)\right|dt=\frac{2}{\pi A_n^{\alpha_n}}\int_{t_k}^{t_{k+1}}\left|\frac{1}{\left(2\sin\frac{t}{2}\right)^{1+\alpha_n}}-\frac{1}{\left(2\sin\frac{x_{k+1}}{2}\right)^{1+\alpha_n}}\right|\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\frac{\alpha_n}{2}\pi\right]dt\le$$

$$\le\frac{2}{\pi A_n^{\alpha_n}}\int_{t_k}^{t_{k+1}}\left|\frac{1}{\left(2\sin\frac{t}{2}\right)^{1+\alpha_n}}-\frac{1}{\left(2\sin\frac{x_{k+1}}{2}\right)^{1+\alpha_n}}\right|dt=$$

$$=\frac{2}{\pi A_n^{\alpha_n}}\int_{t_k}^{t_{k+1}}\left(1+\alpha_n\right)\left(2\sin\frac{\xi_k}{2}\right)^{-2-\alpha_n}\cos\frac{\xi_k}{2}\left|t-x_{k+1}\right|dt<$$

$$<\frac{2\left(1+\alpha_n\right)}{\pi A_n^{\alpha_n}}\int_{t_k}^{t_{k+1}}\left(2\sin\frac{\xi_k}{2}\right)^{-2-\alpha_n}\left(t_{k+1}-t_k\right)dt\le$$

$$\le\frac{2\left(1+\alpha_n\right)}{\pi A_n^{\alpha_n}}\,\frac{2\pi}{2n+1+\alpha_n}\int_{t_k}^{t_{k+1}}\left(2\sin\frac{t_k}{2}\right)^{-2-\alpha_n}dt\le$$

$$\le\frac{\left(1+\alpha_n\right)}{\pi A_n^{\alpha_n}}\,\frac{2\pi}{2n+1+\alpha_n}\int_{t_k}^{t_{k+1}}\left(2\,\frac{2}{\pi}\,\frac{t_k}{2}\right)^{-2-\alpha_n}dt=$$

$$=\frac{\pi^{2+\alpha_n}\left(1+\alpha_n\right)}{nA_n^{\alpha_n}2^{2+\alpha_n}}\left(\frac{2n+1+\alpha_n}{2k+1+\alpha_n}\right)^{2+\alpha_n}\frac{1}{\pi^{2+\alpha_n}}\,\frac{2\pi}{2n+1+\alpha_n}<$$

$$<\frac{2^{1+\alpha_n}\left(1+\alpha_n\right)n^{1+\alpha_n}2\pi}{nA_n^{\alpha_n}4^{2+\alpha_n}k^{2+\alpha_n}}=\frac{\left(1+\alpha_n\right)n^{1+\alpha_n}\pi}{nA_n^{\alpha_n}2^{2+\alpha_n}k^{2+\alpha_n}}\le$$

$$\le\frac{\left(1+\alpha_n\right)\Gamma\left(1+\alpha_n\right)\pi}{2^{2+\alpha_n}k^{2+\alpha_n}}\le\frac{2\left(1+\alpha_n\right)\Gamma\left(1+\alpha_n\right)}{k^{2+\alpha_n}}\,;$$

მაშასადამე,

$$\frac{2}{\pi}\int_{\tau_0}^{\pi}\left|\eta_n^{\alpha_n}(t)\right|dt \le C(1+\alpha_n)\Gamma(1+\alpha_n)\sum_{k=1}^{n}\frac{1}{k^{2+\alpha_n}} \le C(1+\alpha_n)\Gamma(1+\alpha_n)\int_1^n x^{-2-\alpha_n}dx,$$

ამრიგად,

$$I_n^{\alpha_n}(f)=\frac{2}{\pi}\int_{t_0}^{\pi} f(t)Q_n^{\alpha_n}(t)dt+O\left(\Gamma(1+\alpha_n)\omega\left(\frac{1}{n}\right)\right);$$

ე.ი.

$$\varepsilon_n\left(H^{\omega},\sigma_n^{\alpha_n}\right)\le\sup_{f\in H}\left|\frac{2}{\pi}\int_{t_0}^{\pi} f(t)Q_n^{\alpha_n}(t)\,dt\right|+O\left(\Gamma(1+\alpha_n)\omega\left(\frac{1}{n}\right)+\frac{|\alpha_n|}{n}\int_{\frac{1}{n}}^{\pi}\frac{\omega(t)}{t^2}dt\right)=$$

$$=\sup_{f\in H}\left|\frac{2}{\pi A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n-1}\int_{t_k}^{t_{k+1}} f(t)\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\alpha_n\pi/2\right]\left(2\sin\frac{k+1+\alpha_n/2}{2n+1+\alpha_n}\pi\right)^{-1-\alpha_n}dt\right|+$$

$$+O\left(\Gamma(1+\alpha_n)\omega\left(\frac{1}{n}\right)+\frac{|\alpha_n|}{n}\int_{\frac{1}{n}}^{\pi}\frac{\omega(t)}{t^2}dt\right)\le$$

$$\le\frac{2}{\pi A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n-1}\left(2\sin\frac{k+1+\alpha_n/2}{2n+1+\alpha_n}\pi\right)^{-1-\alpha_n}\sup_{f\in H}\left|\int_{t_k}^{t_{k+1}} f(t)\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\frac{\alpha_n\pi}{2}\right]dt\right|+$$
$$+O\left(\Gamma(1+\alpha_n)\omega\left(\frac{1}{n}\right)+\frac{|\alpha_n|}{n}\int_{\frac{1}{n}}^{\pi}\frac{\omega(t)}{t^2}dt\right).$$

ახალა განვიხილოთ სიდიდე

$$r_k=\sup_{f\in H}\left|\int_{t_k}^{t_{k+1}} f(t)\sin\left[\left(n+\frac{1}{2}+\frac{\alpha_n}{2}\right)t-\frac{\alpha_n\pi}{2}\right]dt\right|.$$

